

საქართველოს საერთო სასამართლოთა მიერ საქართველოს
კონსტიტუციის პირდაპირ გამოყენების ფარგლები: არსებული
პრაქტიკა და პერსპექტივები

თამარ ბარამაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტზე საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ერემაძე, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ბარამაშვილი

31.01.2020

აბსტრაქტი

საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ არქიტექტურაში, საერთო სასამართლოები მართლმსაჯულების განხორციელებისას იცავენ და უზრუნველყოფენ კონსტიტუციის უზენაესობის იდეას, ქმედითობას და, შესაბამისად, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. აღნიშნული, პრაქტიკაში საერთო სასამართლოთა მიერ, საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართვის გზით, ნორმათა კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმებას და, შესაბამისი გარემოებების არსებობისას, კონსტიტუციის პირდაპირ გამოყენებას მოიაზრებს. ნაშრომის მიზანი სწორედ საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ძირითადი უფლებების პირდაპირი მოქმედების ფარგლებისა და შესაძლებლობის შესწავლა და იმის გამორკვევაა, თუ რა ხარვეზები და პერსპექტივები არსებობს საერთო სასამართლოთა სისტემაში მართლმსაჯულების განხორციელებისას კონსტიტუციის გამოყენების თვალსაზრისით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კონსტიტუციის პირდაპირი ეფექტი, კონსტიტუციის პირდაპირ გამოყენება, ძირითადი უფლებების პირდაპირი მოქმედება, კონსტიტუციური წარდგინება, კონსტიტუციური კონტროლი.

Abstract

In the architecture established by the Constitution of Georgia, the common courts in the administration of justice protect and uphold the idea of the constitutional supremacy, its effectiveness and, consequently, fundamental human rights and freedoms. In practice, this implies that the common courts check the conformity of laws with the constitution by referring to the constitutional court and that the constitution is directly applied when appropriate. The purpose of this paper is to research the scope and possibilities of the direct application of fundamental rights, to identify the gaps and perspectives that exist in the administration of justice during the application of the constitution in the common court system.

Key Words: Direct application of the Constitution, direct use of basic rights, direct effect of constitution, reference of the General Court to the Constitutional Court, judicial review.